

გიორგი ჩერქეზიშვილი
დოქტორანტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო

ღვინის ზედაშეები საქართველოში

თეზისები: „ზედაშე“ განსხვავებული კონოტაციების მატარებელი ცნებაა, მაგრამ უპირველესად ის ღვინოსა და ქვევრთანაა დაკავშირებული.

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რასაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფაქტი ადასტურებს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული მრავალი ექსპონატი, რომლებიც დათარიღებულია გვიანი ბრინჯაოს ხანით, ქრისტემდე XIV-XI სს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ზედაშე“ არის „შესაწირავი ღვინო“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ზედაშე არის: 1. წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობდნენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის შესრულებისას, 2. საეკლესიო დღესასწაულებისათვის საგანგებოდ შენახული საუკეთესო ღვინო.

ზედაშე სპეციალურ სალოცავ ქვევრებში, მარნის მარჯვენა ნაწილში ინახება, სადაც გარკვეული რიტუალური ქმედებები სრულდება. ასეთ „საკრალურ ქვევრებს“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით ვხვდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ზედაშე“ შესაწირავი ღვინის მნიშვნელობით მთელ საქართველოში დასტურდება, მაგრამ ქართლსა და კახეთში, შესაწირ ღვინოსაც და სპეციალურ ქვევრსაც, სადაც ამ ღვინოს ინახავენ და რომელიც სხვა ქვევრებისაგან განსხვავებით მცირე ზომისაა, „ზედაშეს“ უწოდებენ.

ცნობილია, რომ ქვევრის ღვინო შედგება სამი ნაწილისგან: ე. წ. ქვევრის „თავღვინისგან“, ანუ „ბეჭის ღვინისგან“ და ქვევრის ძირისაგან, რაც იგივე ბოლო თხლე, ანუ ფილის ღვინოა. გამოყოფენ სანაქებო „შუაწელის ღვინოს, რომელიც კვერცხის

გულივითაა და მაგარია“. თვითონ სახელიც მიანიშნებს ამაზე: სიტყვა „ზედაშე“ მოდის „ზედა შრისგან“ და როგორც სპეციალისტები განმარტავენ, „ზედა შრე“ ეს არის ქვედა შრის მომდევნო, ანუ „შუაწელის“ ღვინო.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული რელიგია შეეცადა ზედაშის წარმართული კულტისთვის ქრისტიანული ღირებულებები და შინაარსი მიენიჭებინა, მან ერთგვარი სინთეზური სახით მოაღწია დღემდე.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, ზედაშე, ღვინის კულტი, ქართული ეთნოლოგია

Abstract: Zedashe is the concept with many connotations in Georgian language but mostly it is associated with wine in a clay vessel of qvevri.

After 8000-year-old viniculture traces were found, scientists confirmed that world's oldest wine was produced in Georgia.

According to Georgian Explanatory Dictionary Zedashe means: 1. Red wine that was used in orthodox Eucharist as well as in the wedding ceremonies, 2. Special wine of the best quality, kept in the churches for use on holidays only.

After conversion to Christianity the pagan cult of Zedashe was filled with new meaning from a point of view of the Christian faith. Since then a cult of Zedashe functions synthetically as it contains different concepts.

All above-mentioned gives reason to conclude that in the shape and contents of Zedashe there is represented common cultural treasure inherited from all the ancient Georgian tribes that lived before Christ. This way it influenced creation of common concept of understanding the world and supported developing the global cultural environment. Concepts of vine, wine and Zedashe contributed greatly to creating individual character of Georgian culture highlighting its uniqueness. It is reflected in everyday life of Georgian people as well as in all the areas of Georgian art.

Keywords: Wine, Zedashe, Wine Worship, Georgian Ethnology

„ზედაშე“ განსხვავებული კონოტაციების მატარებელი ცნებაა, მაგრამ უპირველესად ის ღვინოსა და ქვევრთანაა დაკავშირებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ზედაშე არის „შესაწირავი ღვინო“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

მიხედვით კი ზედაშე ეწოდება: 1. წითელ ღვინოს, რომელსაც ხმარობდნენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის შესრულებისას და 2. საეკლესიო დღესასწაულებისათვის საგანგებოდ შენახულ საუკეთესო ღვინოს.

ზედაშე სპეციალურ სალოცავ ქვევრებში, მარნის მარჯვენა ნაწილში ინახება, სადაც გარკვეული რიტუალური ქმედებები სრულდება. ასეთ საკრალურ ქვევრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ, კერძოდ, „ქართლ-კახეთში როგორც ზედაშეს, იმერეთსა და რაჭაში, როგორც სალოცვილს, სამეგრელოში, როგორც ოხვამერ ლაგვანს, ანუ სალოცავ ქვევრს და სხვა“ (აბაკელია, *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში* 132).

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ზედაშე“ შესაწირავი ღვინის მნიშვნელობით მთელ საქართველოში დასტურდება, მაგრამ ქართლსა და კახეთში შესაწირ ღვინოსაც და სპეციალურ ქვევრსაც, სადაც ამ ღვინოს ინახავენ და რომელიც სხვა ქვევრებისაგან განსხვავებით მცირე ზომისაა, „ზედაშეს“ უწოდებენ.

საქართველოში საზედაშე ქვევრები ჩაიდგმებოდა სხვადასხვა წმინდანების სახელზე: ღვთის სახელზე, მთავარანგელოზების სახელზე, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის და სხვ. ჩამოთვლილ ზედაშეებში „ღვთის ზედაშე“ ხალხში ყველაზე უფროსად ითვლება და სავალდებულოა ყველასთვის. (*Ibid.* 134)

ნიკოლოზ ჩუბინაშვილს „ზედაშის“ შემდეგი განმარტება მოაქვს ნაშრომში *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*:

ზედაშე – ღვინო, ხმარებული ჟამის წირვასა ზედა სეფისკვერსა თანა, მსოფლიონი უხმობენ ღვინოსა შენახულსა სთულის დროს პატარა ქოცოში, ვიდრე დღეობადმდე სალოცავის ადგილისა და მაშინ მოხდიან, თან წაიღებენ ნაკვების ზვართურთ ეკლესიის კარს, სადაცა ნაწილსა ზედაშისა და დაკლულის ზვარისას მიართმევენ სამღუდელთა. ზოგს დაურიგებენ გლახაკთა და დანაშთენს მიიღებენ თვთ მუნვე. (137)

ზედაშის, როგორც ტერმინის, შესახებ ერთობ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით; მაგალითად, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში* ვკითხულობთ, რომ: „ზედაშე – (მთიულ.) ბამბის ნართია, რომელიც ხატში ეკლესიას სამჯერ უნდა შემოავლონ, როცა ხატი ვინმეს დაამიზნავს“. საინტერესოა ასევე ქართლში, კერძოდ კი, მეტეხ-ერთაწმინდის მახლობელ სოფლებში გავრცელებული ერთი ადათიც, რომლის დროსაც ზედაშე, ღვინის პარალელურად, ეწოდება ერბოსაც, რომელიც ღვინის მსგავსად ეკლესია-მონასტრებში შესაწირავად იყო განკუთვნილი.

სიტყვა „ზედაშე“ ღვთაებისადმი შეწირული სასოფლო პროდუქტების აღსანიშნავად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება.

ტერმინის განსამარტავად მოვიტანთ სიმონ ყაუხჩიშვილის მოსაზრებას: „ტერმინის სადაურობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებაა გამოთქმული. სიტყვა ზედაშე ნაწარმოებია სიტყვისგან „მინა“, როგორც ცნობილი სიტყვები: წინაშე, გარეშე, ქვეშე, ზედაშე, თანაშე...“ (ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლისთვის 6-7).

ტერმინ „ზედაშის“ გააზრებისთვის კიდევ ერთ დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას:

ცნობილია, რომ ქვევრის ღვინო შედგება სამი ნაწილისგან: ე. წ. ქვევრის „თავღვინისაგან“, ანუ „ბეჭის ღვინისაგან“ და ქვევრის ძირისაგან, რაც იგივე ბოლო თხლე, ანუ ფილის ღვინოა. გამოყოფენ გრეთვე სანაქებო „შუაწელის ღვინოს“, რომელიც კვერცხის გულივითაა და მაგარია, როგორც ამბობენ, ქვევრის ღვინო საუკეთესოა შუა წელზე, ზედას ჰაერი დაჰკრავს, ქვედას ლექი აფუჭებს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ის სემანტიკური განმარტება, რომელიც აღიარებულია ქიზიყის ადგილობრივ მკვიდრთა მიერ. როგორც გიორგი ჩიტაია გადმოგვცემს, „ზედაშე სხვა რა უნდა იყოს, თუ არა „ზედა შრე“. ჩვენი მამა-პაპა ხომ ყველა ქვევრიდან ზედაშრეს ასხამდა ზედაშის ქვევრში“ (შრომები, ტ. 3: XX ს-ის ქართული ეთნოგრაფია 30).

ნამოსახლარების გათხრებისას აღმოჩენილი საღვინე თიხის ჭურჭლის ნატეხები მიანიშნებს, რომ უკვე ნეოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მწარმოებლური მეურნეობის არა საწყისი, არამედ უკვე კარგად განვითარებული ეტაპი იყო, რაც მიუთითებს, რომ ვაზის დომესტიკაცია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანმა კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდიდან დაიწყო. სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრის დროს აღმოჩენილი ნეოლითური ხანის ქვევრის ტიპის ჭურჭელი, კულტურული ვაზის ნამარხი წიპწები, თიხის საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტებში დაღეჭილი ღვინის მჟავა და კულტურული ვაზის მტვერი, ველურ და აბორიგენულ ჯიშთა მრავალფეროვნება, ღვინის უნიკალური ჭურჭელი – ქვევრი და ქვევრში ღვინის დაყენების დღემდე შემორჩენილი უძველესი ტექნოლოგიები მიუთითებს, რომ საქართველო მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა.

ქართველი კაცი მევენახეობასა და მეღვინეობას უძველესი დროიდან ეწევა. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა ვაზისა და ღვინის მდიდარი კულტურა და დიდი ჯიშური მრავალფეროვნება, განხორციელდა ველური ვაზის გაკულტურება, დამუშავდა ვენახის გაშენებისა და მოვლის სისტემები, დაიხვეწა საღვინე ჭურჭელი და მოხდა ქვევრის კულტურის დამკვიდრება, შემუშავდა ღვინის დაყენების კახური და იმერული ტექნოლოგიები. ღვინომ შეიძინა საკრალური დატვირთვა

და გადაიქცა ქართველი ერის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ ბაზისად საუკუნეების განმავლობაში.

შულავერ-შომუთეფეს პერიოდის ფაქტებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი ქვევრის ტიპის ჭურჭელი იპყრობს, რომელსაც მეცნიერები ქვევრის წინაპრად მიიჩნევენ. იგი ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი და მსოფლიოში უძველეს საღვინე ჭურჭლად ითვლება.

მევენახეობის კულტურა ისე ღრმად არის შეჭრილი ქართველი ხალხის ყოფაში, რომ მისი ცალკეული ელემენტები, იარაღები და პროდუქტები, პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად, თაყვანისცემის ობიექტადაც ქცეულა. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ყველა ავთენტური რელიგიის მნიშვნელოვან ატრიბუტს ვაზი და ღვინო წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ღვინის“ სემანტიკური მნიშვნელობა მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება და იგი სავარაუდოდ ზმნა „ღვივილიდან“ არის მიღებული. ამ სიტყვის ფუძე – „ღვ“ – წმინდა ქართულია და მრავალ ქართულ სიტყვაში გვხვდება.

პირველი ღვინო, ალბათ, დღევანდელი საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე დაიწურა. ზუსტად ვერავინ იტყვის, კონკრეტულად სად, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რეგიონია ის ადგილი, სადაც ჯერ პირველი ღვინო დაიწურა, შემდეგ კი ვაზის გაკულტურება მოხდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ბიბლიური ნარატივის ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობნის არარატზე შეჩერების შესახებ. აღნიშნული ტერიტორია ქართველური ტომების საცხოვრისადაა მიჩნეული და ნოეს მიეწერება მევენახეობის დაწყება და პირველი ღვინის დაწურვა: „და იწყო ნოე, კაცმან საქმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაკი.“ (ბიბლია, დაბ. 9:20)

ქართველთა მსოფლმხედველობის მიხედვით, ადრიდანვე ვაზი და მისი ნაყოფი წმინდა თაყვანისცემის საგნად და სიცოცხლის მიმნიჭებლად იყო მიჩნეული. ღვინო რელიგიური დღესასწაულის რიტუალურ სასმელსა და შესაწირავს წარმოადგენდა.

საგულისხმოა ისიც, რომ ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები გაქრისტიანებამდეც მიანიშნებენ საქართველოში ღვინის საკრალურ-სარიტუალო დანიშნულებაზე. ამგვარად, ღვინოს ჯერ კიდევ წარმართული პერიოდიდან ჰქონდა რიტუალური და მისტიკური დანიშნულება.

ქართველების ხალხურ სარწმუნოებაში მევენახეობის მფარველ ღვთაებად „აგუნა“, ანუ „ანგურა“ იყო მიჩნეული. „აგუნასთვის“ მსხვერპლშეწირვის რიტუალი თეატრალიზებული სახით გურიაში დღესაც არის შემორჩენილი. ქრისტიანობამდე დასავლეთ

საქართველოში იყო ბერძნული კოლონიები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრჯერ აღმოჩენილა ელინური კულტურის კვალი ცალკეულ გრავიურებზე დიონისეს გამოსახულებით.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღვინო მაცხოვრის სისხლს დაუკავშირდა: „...და მოილო სასუმელი და ჰმაღლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისად, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (ბიბლია, მათე 26:27). აქვე უნდა გავიხსენოთ ის გადმოცემაც, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინო საქართველოს ვაზის ლერწისგან შეკრული ჯვრით მოვევლინა.

ამგვარად, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ გენახისა და ღვინის კულტმა საქართველოში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მონასტრებში ყოველთვის დიდი რაოდენობით ღვინო დგებოდა და დღესაც ბევრ მონასტერშია შემორჩენილი ძველი მარნები. ქართველები ღვინოს წმინდა სასმელად მიიჩნევდნენ და ხშირად წმინდანებსაც სწირავდნენ. წმინდანისა და ეკლესიისთვის შეწირულ ღვინოს „ზედაშეს“ უწოდებდნენ. ქართული კულტურის გაქრისტიანებამ ღვინოს განსხვავებული შინაარსი და სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა. მართლმადიდებელი ლიტურგიის პირველ ნაწილში – კვეთის, ანუ პროსკომედიისას – ღვინო გარკვეული ლოცვების თანხლებით ისხმება ბარძიმში და წირვის დროს მაცხოვრის სისხლად გარდაიქმნება. სწორედ ამ შესაწირავ ღვინოს ეწოდება ზედაშე.

თუ ჩვენ შევეცდებით, რაიმე რეალია მივუსადაგოთ ზედაშის ზემომოყვანილ ახსნას, მაშინ ისევ ქიზიყის ყოფითი მაგალითი უნდა მოვიშველიოთ: ქიზიყელი შუაწელის ღვინოს ყველაზე საუკეთესოდ და თავანკარად მიიჩნევს, ე.ი. ისეთ ნაწილად, რომელიც ღვთაებას უნდა შესწიროს. აქედან გამომდინარე, თვით სიტყვა „ზედაშე“ შესაძლებელია ასე დაიშალოს: „ზედა-შე“ ანუ „ზედა“ = საუკეთესო, უმაღლესი ნაწილი ღვინისა; „შე“ კი შესაძლებელია, ქიზიყში გავრცელებული აზრის თანახმად, „შრეს“ დავუკავშიროთ, ე.ი. ფენას – „ზედა შრე“. ის თავანკარა ღვინის საუკეთესო ნაწილია, რომელიც ქართველმა კაცმა ქვევრის სამი შრიდან გამოყო ღვთაებისთვის შესაწირად. აქ იქმნება წინააღმდეგობა. დღეს ხომ საუკეთესო ნაწილად შუა წელის ღვინოა მიჩნეული? მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დასკვნამდე მისასვლელად მევენახეს დიდი დრო და ღვინის ტექნოლოგიის უკეთესი ცოდნა დასჭირდებოდა, მანამდე კი, არ არის გამორიცხული, მას საუკეთესოდ ზედა შრის ღვინო მიეჩნია.

ჩვენი აზრით, აქ არც გაურკვევლობას აქვს ადგილი და არც იმ მოსაზრებას, რომ მევენახე ტერმინზე გვიან გააცნობიერებდა და მიაგნებდა ქვევრში საუკეთესო ღვინის მდებარეობას. როგორც

პრაქტიკა გვიჩვენებს, ჯერ საგნის გააზრება ხდება და შემდეგ სახელის დარქმევა ამა თუ იმ საქმიანობის პროცესში. როგორც ცნობილია, ქვევრის ღვინის ტექნოლოგია არ შეცვლილა მისი გამოგონებიდან დღემდე. მევენახე ყოველწლიური დაკვირვების შედეგად ზუსტად ფლობდა ღვინის ტექნოლოგიურ ცოდნას. „ზედაშრე“ ზუსტად გამოხატავს შუა წელის ღვინის მდებარეობას.

86 წლის ნიაზ ჩერქეზიშვილი, რომელიც პროფესიით მეღვინეა, ჩვენთან საუბარში პირდაპირ აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებობს ღვინის დაყენების ორგვარი ტექნოლოგია: ევროპული და ქართული. ქართული მეთოდით, ქვევრში ყურძნის ჩაწურვისას წვეწვს აუცილებლად ჭაჭა-კლერტიც თან მიჰყვება და მთელი ტექნოლოგიური პროცესი ერთად მიმდინარეობს. როდესაც დაღვინება სრულდება, ჭაჭა ქვევით ჩადის. ადრე დიდი ხნით აჩერებდნენ ჭაჭა-კლერტზე, რასაც „დედას“ ეძახიან. ამას გულისხმობენ, როცა გლეხი ამბობს, დედაზე დავაყენეო; ანუ მთავარი საგანი, როგორც სახელი გვატყობინებს, ჭაჭა-კლერტია, ე.ი. აქ „დედას“ ზედა შრე იგულისხმება. ამ შემთხვევაში ყველაფერი ლაგდება და მევენახეც ზუსტად გამოხატავს საზედაშრე ღვინის ხარისხსა და შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგიერთ მხარეში „ზედაშრე“ უწოდებდნენ არა მარტო საუკეთესო ღვინოს, არამედ ხორბალსაც:

„ტერმინი „თავეული“ ან „სათაო“ იქცა ზედაშრის სინონიმად და ზოგიერთ ადგილებში გამოდევნა იგი, როგორც ხატისადმი შეწირული პურის სახელწოდება. აღმოსავლურ-ქართული ზედაშრისა და თავეულის ან სათაოს შესატყვისი შეწირვა და მირთმევა სვანებში ატარებდა სახელწოდებას „ტაბლაშ“ (ზემო სვანეთის ბალსქვემო თემებში) და „გვიზ“ (ზემო სვანეთის ბალსზემო თემებში). ამასთანავე ხშირად ერთ ოჯახში იყო ლამარია ტაბლაშ, ან ლამარია გვიზ, იანა გვიზ, ისკლილჯალე გვიზ და ა.შ. (ჩიტაია, *op. cit.* 400)

როგორც მკვლევარი ნინო თოფურია ადასტურებს, „ყველა ეს სიტყვა: **შესაწირი, ოხვამირი, სალოცვილი, ზედაშრე, სათაო, თავეული** ქართული წარმოშობისაა. სიტყვა „შესაწირი“ კი უძველეს ისტორიულ წყაროებში გვხვდება“ (ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან 46).

ზედაშრის შესატყვისი სამეგრელოში „ოხვამირია“. ერთი მხრივ, ესაა ადგილი, სადაც ლოცვა-რიტუალი სრულდება, ხოლო, მეორე მხრივ, სალოცავისთვის განკუთვნილი შესაწირავია. ასეთივე მნიშვნელობისაა იმერულ-რაჭული **სალოცვილი**. შესაწირავს, ოხვამერს, სალოცვილს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზედაშრეს. ზედაშრე უფრო კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება. საინგილოში „**დადაშს**“ ეტყვიან. ინგილოთა ყოფაშიც კი, რომელნიც გარკვეული დროიდან მაჰმადიანური

სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდნენ, ღვინოს დაკარგული ჰქონდა თავისი დანიშნულება და მხოლოდ შესაწირავს წარმოადგენდა.

სოფელ კახში ყასრის საყდართან ჩაფლული ყოფილა ერთი უზარმაზარი ქვევრი, რომელშიც ათასი ჩაფი ღვინო ეტეოდა. ყურძნის მოსავლის აღების შემდეგ თითოეული ოჯახი ასხამდა თითო ჩაფ ღვინოს. ეს ღვინო წარმოადგენდა დადამს სოფელ კახისთვის, რომელიც იხსნებოდა თვით საყდრის დღესასწაულის დღეს – კვირაცხოვლობას. სოფლის ყველა მცხოვრები მოვიდოდა სალოცავად სანოვაგით. იმ დადამს ერთად დალევდნენ...

აფხაზები შესაწირავ ღვინისთვის ყურძენს ხელით წურავდნენ. ხალხის რწმენით, ფეხით დაწურვა არ შეიძლებოდა. პირველ ნაწურ ღვინოს **ამაჭარის** სახელწოდებით ღვთაებას სწირავდნენ.

გურიაში საკალანდო ჭური, რომელიც 4-5 კოკიანი უნდა ყოფილიყო, ყველა ოჯახს ჰქონდა. შემოდგომით საუკეთესო ყურძნიდან პირველდაწურულ შუმ ღვინოს ჩაასხამდნენ. საზედაშედ თეთრ ღვინოს ირჩევდნენ. საკალანდო ღვინოს ცხემლისჭრა ღამეს მოხსნიდნენ. ამ ღვინის გასესხება და გაყიდვა არ შეიძლებოდა, სახლში დალევდნენ. ღვინოს ქალი ვერ ამოიღებდა. მას ჭურის ახლოსაც არ უშვებდნენ, იტყოდნენ, – ღვინო ჰკეს მოიყენებსო. გობზე დააწყობდნენ დასალოცავ პურს, საკმეველს, სანთელს. კაცები საკალანდო ჭურს მონდიდნენ, ღოქით ღვინოს ამოიღებდნენ, გობთან ერთად დადგამდნენ და დაილოცებოდნენ. (*Ibid.* 60-62)

როგორც 1952 წელს გურიაში შეკრებილ ეთნოგრაფიული მასალებშია დაფიქსირებული, ხალხურ სარწმუნოებაში დამოწმებულ საზედაშე ღვინოს საერთო სახელთან ერთად შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალური საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და ალაპისათვის განკუთვნილ ღვინის ზედაშესთან. შესაძლებელია, სააღაპე ღვინო გენეტიკურად უკავშირდებოდეს ხალხურ საზედაშე ღვინოს.

ჩვენი დაკვირვებით, საზედაშედ გამოიყენებოდა თეთრი ღვინოც. მაგალითად, სოფელ ოზაანში შევსწრებივარ ზედაშის ქვევრში თეთრი ღვინის ჩასხმას და დალუქვას. ჩასხმის დროს სანთელი აანთეს და ოჯახის უფროსმა დაილოცა: „წმინდაო გიორგი, შენი სახელის ჭირიმე, მრავალჯერ დაგვასწარ შენს დღეობას!“ ის ქვევრი ამალღების დღესასწაულზე გაიხსნა და ღვინო ტაძრის ეზოში გაშლილ სადღესასწაულო ვახშამზე შეისვა.

საზედაშე ღვინის დამზადება დაკავშირებული იყო ასევე ალაპის შესრულების ვალდებულებასთანაც:

სააღაპოდ შეწირული ან სააღაპოდ გაპიროვნებული გლეხი მოვალეა ამა თუ იმ პირის ალაპისათვის მიიტანოს მონასტერში შეკვეთილი სხვადასხვა პროდუქტი და მასთან ერთად ღვინოც. ეს

უკანასკნელი ან პირდაპირ საზედაშედ იწოდებოდა ან, უბრალოდ, ღვინოდ არის დასახელებული (*Ibid.* 69).

წყაროებიდან ჩანს, რომ საზედაშედ ღვინოს რამდენიმე სახით იყენებდნენ: მიჰქონდათ შესაწირად ეკლესია-მონასტრებში, ურიგებდნენ ხელმოკლე ოჯახებს საქველმოქმედო მიზნით და იყენებდნენ რელიგიურ-სადღესასწაულო ან სააღაპე დანიშნულებით. მონასტრისთვის შესაწირი ღვინო კერძო ინტერესების მატარებელია თავისი შინაარსით, ხოლო ხალხური საგვარეულო ან სასოფლო ზედაშედ უფრო კოლექტიური ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ ღვინის ზედაშედ წარმოადგენდა ყოველწლიურ შესაწირავს და ამასთანავე აუცილებელს.

შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ ზედაშის ფლობის აუცილებლობა ქართველი კაცის მსოფლალქმაში წარმოადგენდა ჯანმრთელობისა და მატერიალური კეთილდღეობის წინაპირობას, რაც ერთგვარ მოწესრიგებულ ფორმას აძლევდა პიროვნებისა და ღმერთის (ან ღვთაების) ურთიერთობას.

ხალხურ ზედაშეებსა და ეკლესია-მონასტრების ზედაშეებს მკვლევარი ნინო თოფურია შემდეგი ნიშნით განასხვავებს:

ა) საზედაშედ ღვინის დამზადება ერთგვარად დაკავშირებული იყო პიროვნების სულის მოხსენიებასთან. შეწირვის მიზეზი ალაპია და არა დღესასწაული, მაშინ როდესაც ხალხურ სარწმუნოებაში საზედაშედ ღვინო რომელიმე დღეობას ეწირებოდა და მისი გახსნა და მონმარება მხოლოდ და მხოლოდ დათქმული დღესასწაულის დროს ხდებოდა.

ბ) საზედაშედ ღვინოს ამზადებდა არა დიდი კოლექტივი, არამედ მცირე – რამდენიმე გლეხი ან ერთი გლეხი, იშვიათად სოფელი. ხალხური წეს-ჩვეულებების მიხედვით საზედაშედ ღვინის დამამზადებელი და შემწირავი მორიგეობით იყო გვარი, სოფელი და ოჯახი.

გ) საზედაშედ ღვინის დახარჯვა ალაპისათვის საუფლო დღესასწაულებზე ხდებოდა, როგორც წესი, კარჩაკეტილად. საერო პირები არ მონაწილეობდნენ. ხალხურ დღესასწაულებზე შემწირულ ღვინოს მხოლოდ შემწირავი გვარი, სოფელი თუ ოჯახი მოიხმარდა, თუმცა აგრეთვე იცოდნენ საზედაშედ ღვინით სხვა გვარის თუ სოფლის მლოცავების გამასპინძლებაც.

დ) საერთოდ, მონასტერში საუფლო დღესასწაულებზე იმართებოდა დიდი ტრაპეზი (პურის ჭამა), მაგრამ მასში მხოლოდ ბერები მონაწილეობდნენ, სხვათა შესვლა მონასტერში აკრძალული იყო. (*Ibid.*)

ზედაშის ღვინის დაყენება ხდებოდა როგორც ხატის, ისე კერძო მფლობელობაში მყოფი ვენახებიდან. გვარი ან სოფელში შემავალი სხვადასხვა გვარები საკუთარი ვენახიდან მოწეული ღვინის პირველ და

საუკეთესო ნაწილს წაიღებდნენ, საერთო ქვევრში ჩაასხამდნენ, ხატს შესწირავდნენ, დათქმულ დღეს მოხსნიდნენ და ერთად დაღევდნენ. ხატის ვენახები წარმოდგენილი იყო საოჯახო, საგვარო და სასოფლო სარგებლობის ფორმით. სახატე-სავენახე მიწით სარგებლობა, მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველა ქართველურ ტომში იყო წარმოდგენილი.

ასევე საყურადღებოა ეთნოგრაფიულ ყოფაში დამკვიდრებული ზედაშის ღვინის დაყენების შემდეგი წესი: „მარანში არსებული ყველა ქვევრიდან ზედა ნაწილს ღვინისას ჩემი მამა-პაპა, მახსოვს, ასხამდა ზედაშისთვის განკუთვნილ ქვევრში“. (ჩიტაია, *op. cit.* 31)

ხატის ვენახს განსაზღვრული დროის განმავლობაში ოჯახი ამუშავებდა და მოსავლის ნაწილს ხატს სწირავდა, ნაწილს თვითონ მოიხმარდა. შემდეგ ხატის ვენახი იმავე პირობით გადადიოდა მეორე ოჯახზე. მაგალითად, ერთი ასეთი შემთხვევა დამოწმებული აქვს მკვლევარ ნინო თოფურიას: „ქართლში ჭიქურაულებს ჰქონდათ ვენახები. ერთ წელიწადს ერთ ოჯახს ჰქონდა დასამუშავებლად, მეორე წელს – მეორეს“. (თოფურია, *op. cit.* 62)

სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ მუხურში, იცინდალეს წმინდა გიორგის თავისი მამული ჰქონდა. იცინდალეს წმინდა გიორგის მამული ხუთი ქცევა ყოფილა, სადაც ჭვიტილური და ადესა ყოფილა გაშენებული... იმ მამულს ხატის ვენახს ეძახდნენ. ხატის ვენახს თოდუას გვარი კოლექტიურად ამუშავებდა. სხვა გვარის ხალხს უფლება არ ჰქონდა ვენახში შესვლისა. ვენახს თოდუას გვარი თოხნიდა, კრეფდა და წურავდა. მეხატული თოდუას გვარიდან იყო არჩეული. წმინდა გიორგის „ჯგორი“ თოდუებიანო, იტყოდნენ. იცინდალეს წმინდა გიორგის დღეობა 10 ნოემბერს მოდიოდა. (კაკაშვილი, *ზედაშე, როგორც სულიერი კულტურის ვენომენი* 305-306)

ხშირ შემთხვევაში ხატის ვენახს მთელი სოფელი უვლიდა. მნათეების მეთაურობით ყველა ოჯახი იღებდა მონაწილეობას სავენახე ოპერაციებში: გასხვლაში, გაფურჩქენაში, შეყვლევაში, რთველში და ა.შ. ჩაწურავდნენ ეკლესიის ქვევრში და მთელი წელი ამ ღვინის გახარჯვა ხდებოდა სხვადასხვა რიტუალებში. წითელ ღვინოს წირვაზე მოიხმარდნენ, თეთრს – სადღესასწაულო აღაპებზე ან რაიმე საქმისთვის გახარჯავდნენ, რომელიც ტაძართან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ცნობილია, რომ საზედაშე ქვევრებიდან ერთ-ერთს დაარქმევდნენ მუშის ქვევრს და ამ ქვევრში ჩასხმული ღვინო განკუთვნილი იყო იმ მუშებისთვის, ვინც შრომობდა ტაძრის შეკეთებისთვის ან ეკლესიის ვენახებში და სხვა ასეთი საქმისთვის. ასეთი შემთხვევები ბევრგან დასტურდება.

მკვლევარი ნინო თოფურია, საბოლოოდ, 3 ტიპის ზედაშის არსებობას ადგენს: ა) **სამამო** ზედაშეები მამებს ან ძმებს ერთად

ჰქონდათ, ერთი ძმის ოჯახში იყო მოთავსებული; ბ) **საგვარო** ზედაშეები საერთო ქვევრში ისხმებოდა, რომელიც სალოცავებთან იყო მოთავსებული ან გვარის რომელიმე წევრის საყანე ადგილას; დ) **სასოფლო** ღვინის ზედაშეებს კი ძირითადად ხატებთან არსებულ საერთო ქვევრში ათავსებდნენ.

დიდ ქვევრებს საგვარო და სასოფლო ზედაშედ არჩევდნენ, რათა შესაწირიც სამყოფი ყოფილიყო და, ამავე დროს, ტევადობაც შესაბამისი. თითოეულ ოჯახს თითო ჩაფი საუკეთესო ღვინო უნდა ამოეღო საკუთარი ქვევრიდან, მიერთმია და ზედაშის საერთო ქვევრში ჩაესხა. შესაბამისად, საოჯახო ქვევრები მცირე ზომისა იყო.

თითქმის ყველა მარნის მფლობელ ოჯახს ჰქონდა ზედაშის ქვევრი, რომელშიც მზადდებოდა როგორც ეკლესია-მონასტრებისათვის შესაწირი, ისე საეკლესიო დღესასწაულებზე საშინაო მოხმარებისთვის განკუთვნილი ღვინო. ხშირად ზედაშის ქვევრი წინასწარვე იყო განკუთვნილი რომელიმე დღესასწაულისათვის. ზედაშის ქვევრების ადგილსამყოფელს გულისყურით არჩევდნენ, რათა ტექნოლოგიური პროცესისთვის შესაფერისი გარემო შეერჩიათ და ამავე დროს დაეცვათ მისი საკრალური მნიშვნელობა.

ქართლი და რაჭა, განსხვავებით იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთისაგან, ოჯახების მიერ შეწირული ზედაშეების მოხმარების მხრივ, რიგი თავისებურებით გამოირჩევა. ქართლსა და რაჭაში შეწირული ღვინის ზედაშის თავღვინოს ოჯახები ხატში აგზავნიდნენ, დანარჩენებს შინ მოიხმარდნენ, მისი გასესხება და გაყიდვა ალკვეთილი იყო.

იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში ღვინის ზედაშის მოხმარების ასეთივე ფორმებთან ერთად გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ღვინის ზედაშის მთლიანად სახლში მოხმარება, მისი ნაწილის ხატში გაუგზავნელად. საზედაშე ქვევრთან ოჯახში სრულდებოდა სათანადო დღეობის რიტუალი.

იმერეთში ყოველი ოჯახი იხდიდა საღვთო წირვას წელიწადში ერთხელ. საღვთო წირვის სუფრაზე ღმერთს ევედრებოდნენ პურ-ღვინის ბარაქას. საანგელოზო ჭური ეწირებოდა ოჯახის მფარველ ანგელოზს. ოჯახის ანგელოზის პატივსაცემად მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა ყოველწლიურად მაისის თვეში, ამ დროს ყველა ოჯახში განსაკუთრებული მზადება მიდიოდა: აცხობდნენ ხაჭაპურებს, სადაც ყველთან ერთად დებდნენ ცხრა სახის დანაყილ ბოსტნეულს, კლავდნენ ქათამს, აცხობდნენ კვერებს, ქათამს გობზე დააწყობდნენ. სალამოჟამს ოჯახის წევრები, მხოლოდ მამაკაცები, ჭურთან მივიდოდნენ. ყველა მამაკაცი ჭურის გარშემო დაიჩოქებდა. ოჯახის უფროსი აიღებდა გობს ანთებული სანთლებით და იწყებდა ლოცვას. ოჯახის ანგელოზს სთხოვდა ყოფილიყო მფარველი და

Analyse de discours non-littéraires

დამცველი მისი ოჯახისა, ლოცვის დამთავრების შემდეგ ჭურს გახსნიდნენ და იწყებოდა ღვინის სმა. (ჯალაბაძე, *ქალ-ღვთაებათა ბუნებისათვის* 26-27)

სამეგრელოში ოთუთაშხური დიდმარხვის ორშაბათს სრულდებოდა. მას თუთაშხა (ორშაბათს) ბედნიერს ეძახდნენ. თუთაშხა-ბედნიერისთვის პურის ზედაშეც ჰქონდათ შეთქმული. პურის ზედაშეს სუფთა ადგილას შეინახავდნენ. თუთაშხა-ბედნიერისთვის ღვინოს შემოდგომით ჩაასხამდნენ. საზედაშე ქვევრი მარანში იყო ჩაფლული. დღეობისთვის ოჯახის უფროსი ქალი ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ კვერს გამოაცხობდა და გულად ლობიოს ჩაუდებდა. ქალებისთვის განკუთვნილი კვერები მრგვალი ფორმისა იყო, კაცებისთვის ერთი მრგვალი და მეორე მოგრძო ცხვებოდა. წინა დღით საზედაშო ჭურს თავს მოხდიდნენ, სანთელს აანთებდნენ და ლოცულობდნენ. ორშაბათ დღით უფროსი დიასახლისი ადგებოდა, სახლს დაგვიდა, განსაკუთრებით ცეცხლის ადგილს. უფროსი დიასახლისი მთელი დღე მარხულობდა, საღამომდე წყალსაც არ დალევა. საღამოჟამს მთვარე რომ გამოჩნდებოდა, ოჯახის ყველა მამაკაცი მარანში წავიდოდა სათუთაშხო ქვევრთან, თან კი კვერებს და სანთელ-საკმეველს წაიღებდა. ქვევრთან უფროსი კაცი დაილოცებოდა: „თუთაშხა ბედნიერი, ქიანაში უღვერი, სიქომურია ხვეო ღო ბარაქა მონწიაში“. (კაკაშვილი, *op. cit.* 317)

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მთელ ამ მისტიკრიასა და ადათ-წესებში ზედაშეების მოვლა-პატრონობა უფროს კაცს ევალდებოდა. საზედაშე ქვევრებთან და ღვინოსთან ქალის როლი არსად ჩანს. საზედაშე ქვევრთან ჩატარებულ რიტუალებში ქალი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. უფრო მეტიც, ზოგიერთ მხარეში ხალხის რწმენით, თუ ზედაშეს შეეხებოდა ქალი, ეს მის ავადმყოფობას გამოიწვევდა. ქალს არც ვენახისთვის შეწირული სარიტუალო კვერის შეჭმის უფლება ჰქონდა, სანამ რიტუალი არ დამთავრდებოდა.

როგორც ნინო თოფურია შენიშნავს, ამ ჩვეულების გავრცელების ფართო არეალი იმის მაჩვენებელია, რომ ეს წეს-ჩვეულება ქართველი ხალხისათვის საერთო უნდა ყოფილიყო:

ქალის ასეთი უფლებობა ღვინოსთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში, ერთი შეხედვით, შესაძლებელია იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა. მევენახეობაშიც საერთოდ მისი როლი მხოლოდ ყურძნის კრეფაში დახმარებით განისაზღვრებოდა. (თოფურია, *op. cit.* 75)

საერთოდ, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მკაფიოდ ვლინდება მამაკაცის პრიორიტეტი. ალბათ, როგორც ამ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული გამძლოლი პირი. ვენახსაც მამაკაცი

უვლიდა, თუ არ ჩავთვლით რთველსა და გაფურჩინას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში ქალის პასიურობა მისი „უწმინდურობით“ კი არ უნდა იყოს ნაკარნახევი, არამედ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვენახისა და ღვინის მოვლა ძალზე მძიმე საქმედ ითვლება და ღვინოსთან სისტემატური ურთიერთობაც მამაკაცს უფრო აქვს, ვიდრე ქალს. ისეთ შემთხვევებში კი, როცა მამაკაცი არ დარჩენილა ოჯახში ცოცხალი, ქალი უვლიდა და აყენებდა ღვინოს, თუმცა ძველად საქართველოში ქალი სამეურნეო საქმიანობაში ნაკლებად, ან საერთოდ არ მონაწილეობდა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გენდერული საკითხისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაა საქართველოს მთასა და ბარში, რაც უკვე ცალკე კვლევის თემაა).

ზედაშის ქვევრების რაოდენობა და ტევადობა არ იყო მკაცრად განსაზღვრული. დაფიქსირებულია პატარა ქვევრებიც, რომელსაც „ქოცოს“ ეძახიან აღმოსავლეთ საქართველოში და არის დიდი ტევადობის ქვევრიც. 1952 წელს იმერეთში შეკრებილ ეთნოგრაფიული მასალებში ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერებს:

სოფელ თხილწყაროს წმინდა გიორგის ეზოში ჩაფლული ყოფილა დიდი ქური, რომელშიც 365 ჩაფი ღვინო ჩადიოდა. ღვინოს ასხამდნენ კახიძეები, ბუცხრიკიძეები, სახელაშვილები, შეწირულ ღვინოს ალავერდობას გახსნიდნენ, ხალხი სვამდა და ქეიფობდა.

ჩხარის მაცხოვარს საღვთო ქურს სწირავდნენ, რომელშიც 60 ჩაფი ღვინო ჩადიოდა. ზედაშე კონისთვის იყო განკუთვნილი, 7-8 მაისს გახსნიდნენ. ღვინოს სხვადასხვა გვარი ასხამდა: არაბაძე, აბულაძე, ბოჭორიშვილი, აბუჯანიძე და სხვები. 7 მაისს ქურის გარშემო ჩამოსხდებოდნენ და ერთად დალევდნენ.

რაჭაში, სოფელ სორში გვალვისთვის მთავარანგელოზში საღვთოს იხდიდნენ. საღვთოში ხარს დაკლავდნენ და მთელი სოფელი ერთად შეიყრებოდა. სალოცავ ღვინოს ქვევრებში ასხამდნენ. როსნაძეების გვარს ერთი ქური ჰქონდა, ასევე ჯუმბაშვილებსა, ბერიშვილებსა და ურეკაძეებსაც. სულ სამი-ოთხი ქური იყო ჩამარხული. თითო ქური ოცდაათ-ორმოცოკიანი იქნებოდა. ტკბილს დაწურვისთანავე ჩაასხამდნენ, ღვინოს საღვთოსათვის მოხდიდნენ და ერთად დალევდნენ. (*Ibid.* 82)

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ქიზიყში დღეს შემორჩენილი ზედაშეები სხვადასხვა ზომის ქვევრებია; არის 5 ან 10-ჩაფიანი ქვევრიც და ასევე გვხვდება 40 და მეტი ჩაფის ტევადობის ქვევრიც. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებული იყო ოჯახის სურვილსა და ეკონომიკურ შესაძლებლობაზე.

როგორც მევენახეობა-მეღვინეობის მკვლევარი გიორგი ბარისაშვილი შენიშნავს, ზედაშის ქვევრი მარანში ერთგვარ

ორიენტირს წარმოადგენდა და მას ყოველთვის გამორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა ღვინის ხარისხიანად შენახვის თვალსაზრისით. იგულისხმება სიგრილე, მზის სხივების მიუწვდომლობა და შედარებით მყუდრო ადგილი. თუმცა ქართველი კაცი მარანს ისე აწყობდა, რომ არა მხოლოდ ზედაშის, არამედ სხვა ყველა ქვევრიც დაცული ყოფილიყო არასასურველი მდგომარეობისაგან. იმ შემთხვევაში, თუკი მარანი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულს წარმოადგენდა, ზედა სართულზე საძინებელი ოთახი ისეთ ადგილას იყო მოწყობილი, რომ უშუალოდ მის ქვემოთ ზედაშის ქვევრები არ ყოფილიყო მოხვედრილი (ზედაშის კულტურა საქართველოში).

ისიც ცნობილია, რომ ქართლსა და სამეგრელოში, ყურძნის მოუსავლიანობის შემთხვევაში, ვაზის ტოტს მოჭრიდნენ და ქვევრში ჩააყუდებდნენ, რაც ზედაშის მაგივრობას წევდა. იმერეთში საზედაშე ორშიმოდ ცნობილი ღვინის ამოსაღები ჭურჭელი მხოლოდ საზედაშე ღვინის ამოსაღებად იყო განკუთვნილი. მონასტრებსა და ხალხურ დღეობებში საზედაშე ღვინისთვის ცალკე ჭურჭელი იყო გამოყოფილი, რომელიც მონასტერთან ან სალოცავთან იყო ჩაფლული.

სხვადასხვა ეთნოგრაფიული წყაროებიდან ირკვევა, რომ საზედაშე ღვინის დაყენების პროცესის დროს არა მხოლოდ ჰიგიენური წესების დაცვა იყო აუცილებელი, არამედ ესთეტიკურისაც. კერძოდ, ღვინის დაყენების პროცესში ნასვამი მამაკაცი მონაწილეობას არ იღებდა, ხოლო ვინც ამ დროს მარანში ბილწსიტყვაობდა ან ზედმეტს ხმაურობდა, მას მარანიდან ითხოვდნენ. ყურძნის წურვის დროს მარანში აუცილებლად ინთებოდა წმინდა სანთელი. რაჭაში ძველად უარსებია ერთ წესს: მამაკაცი, რომელიც საწნახელში უნდა ჩამდგარიყო ყურძნის დასაწურად, გარკვეული დროით, რამდენიმე დღე, მეუღლისგან განცალკევებით იძინებდა.

ხატ-ჯვრებთან ღია ცის ქვეშ ხშირად გვხვდება ქვევრები, სადაც ინახებოდა ხატისთვის შეთქმული ღვინის ზედაშეები. სამეგრელოში ზოგან ღვინის ზედაშეები მოთავსებული ყოფილა მარანში ან ღია ცის ქვეშ, სუფთა შემოღობილ ადგილას, ზოგჯერ მისთვის განკუთვნილ საგანგებო ნაგებობაში – საჯვარეში.

ქიზიყში ზედაშის ქვევრი უმეტესად მარანში იყრებოდა, როგორც წმინდა ადგილზე. ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, რომ ადრე ქვევრები ხეების ქვეშ ჰქონდათ. უპირატესობას ლეღვის ხეს ანიჭებდნენ, რადგან იქ უფრო დაცული იყო ღვინო სიგრილის გამო. ზოგს წნულის ან ალიზის ქოხი ჰქონდა გამოყოფილი, მოგვიანებით ქვითკირის მარანი შემოდის. როგორც გიორგი ჩიტაიას შრომებში კვითხულობთ, ნანა ხუნაშვილის მონაყოლით, მის

მამა-პაპას [...] წნელის სახლი ჰქონდა, ტალახით გალესილი (ალიზის) და ქვევრებიც იმ ეზოში იყო ჩადგმული. მერე ზედაშის

უკეთ დასაცავად მარანი აუშენებიათ. მართალია მარანში იდგა ზედაშის ქვევრი, მაგრამ აგურის თავსახური ჰქონდა, რომელსაც სასანთლეს ვეძახდით.

ამ მხარეშიც, ქიზიყში, სამი ტიპის ზედაშე იყო: საოჯახო, საგვარო და საუბნო. საოჯახო ზედაშე დღეს თითქმის მივიწყებულია, უფრო საგვარო დომინირებს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პაპისეული მამულის მარანში (სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი) ორივე ზედაშე დღემდე არსებობს და ორივე მოქმედია.

როგორც სხვა კუთხეში, ქიზიყშიც მარანი წმინდა ადგილად ითვლებოდა. იქ სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა, ქორწილი, ნათლობა, ძეობა და სხვა საკრალური რიტუალები. როგორც ძველ მარანს, ისე ზოგიერთ ზედაშეს ჰქონდა დედაბოძი. უმეტესად, ზედ ბორჯღალი იყო გამოსახული, ქვევრის პირზე კი სანთელი ინთებოდა.

ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალები გვაძლევს საგულისხმო და განსხვავებულ ინფორმაციას: ქიზიყში ზედაშეს სხვა დანიშნულებაც ჰქონია. ამ კუთხის მოსახლეობა პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მშვიდობიან პერიოდში სახნავ-სათეს მიწებთან ახლოს მოსახლეობდნენ, ხოლო ომიანობის ჟამს – მთიან ადგილებში (ე.წ. უკანა მხარში). მიუხედავად კარ-მიდამოს მიტოვებისა, წინაპრის ჩაყრილ ქვევრებს არ ივიწყებდნენ. რამდენიმე ძმის გაყრის შემთხვევაში, ვალდებული იყვნენ ყველას მიექცია ყურადღება და შეენარჩუნებინათ ქვევრები პირველადი დანიშნულებით. ასეთ მცირე საოჯახო მარანს ქიზიყელები „ზედაშეს“ ეძახიან. დღეს შემორჩენილი ზედაშე წარმოდგენილია ორი ან სამი ქვევრით. როგორც უხუცესები განმარტავენ, ერთი ქვევრი ეკლესიის შესაწირისათვის იყო განკუთვნილი, მეორე – ქვრივ-ობლებისა და ღარიბებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მესამე ქვევრის დანიშნულება ძალზე საინტერესო და უნიკალური შინაარსის მატარებელია. როგორც სოფ. ბოდბისხევის მკვიდრი, 82 წლის ც. ბაიდოშვილი იხსენებს, თუ პაპა ან ბებია ან სხვა ოჯახის წევრი ისეთ სიზმარს ნახავდა, რომელიც ჩაითვლებოდა მიღმურ სამყაროსთან დაკავშირებულად, მაშინ მთელი ოჯახი და საგვარეულო, ანუ დიდი ოჯახი მივიდოდა ზედაშეზე და კლავდა შესაწირავს, ასევე ანთებდნენ ქვევრზე სანთლებს და ამ რიტუალით სთხოვდნენ უფალს ოჯახის სიმშვიდეს.

სხვა შემთხვევაში, თუ რომელიმე დიდ დღესასწაულზე კლავდნენ საკლავს, პირველ-მეორე ქვევრს დანიშნულებისამებრ გახარჯავდნენ, ხოლო მესამე ქვევრის ღვინით საგვარეულო ზეიმობდა, რაც ფუნქციურად იდენტურია პირველი ქრისტიანების ალაპისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო დეტალი: მოხუცები ამბობენ, რომ როცა ზედაშეზე რიტუალი ან რაიმე დღესასწაული

აღინიშნება, გვარი წარმოდგენილი უნდა იყოს „დედიანწულიანად და ახალშობილებით“. ბიძაშვილები – „ოჯახის განაყრები“ (ასე ეძახიან ქიზიყში ძმების ან ბიძაშვილების გასვლას ოჯახიდან) – ყველა უნდა ჩამოსულიყო, რაგინდარა შორეული სოფლებიდანაც უნდა ყოფილიყვნენ. ეს პირობა უზრუნველყოფდა ახალშეძენილი რძლების, სიძეებისა და ახალი ნამატის გაცნობას, რაც თავისთავად გვარსა და ნათესაობას კრავდა, აახლოვებდა და თაობების ზრდის მიუხედავად, სისხლის აღრევისა და მსგავსი პრობლემებისაგან იცავდა. დღესაც, თუ ვინმეს გაქილიკება უნდათ, ეჭვქვეშ აყენებენ იმ გვარის ზედაშის არსებობას. ამგვარი დამოკიდებულება, ფაქტობრივად, განასახიერებს ფუძის ანგელოზის იდეას და ამავე დროს წარმომავლობისა და წინაპრებთან რეგულარული კავშირის მნიშვნელობას.

ქიზიყელის რწმენით არსებობენ კეთილი და ბოროტი ანგელოზები. ბოროტი ანგელოზები ის ავი სულები არიან, რომლებიც ქაჯებისა და ალების სახით გვეცხადებიან. [...] ქიზიყელ კაცს ოჯახის მფარველად ფუძის ანგელოზი მიუჩნევია, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდა გველის სახით და მდებარედ მოიხსენიებდა. (*Ibid.* 19)

როგორც, ზოგადად, ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებშია გადმოცემული, ადგილობრივ მკვიდრთაც სჯერათ, რომ ღმერთმა მათ მფარველი ანგელოზი მოუვლინა ბოროტი ძალებისგან დასაცავად. მფარველ ანგელოზს ქართველი კაცი ოდითგან „სახლის ანგელოზად“ მოიხსენიებდა, ქიზიყში კი მას „ფუძის ანგელოზს“ უწოდებენ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ფუძე, ფუზე – საძირკველი, გინდ სამკვიდრებელია“. ყველა სახლს გააჩნია საძირკველი და ყველა ოჯახს – სამკვიდრებელი ფუძე, რომელსაც დამცველი და მფარველი სჭირდებოდა ყოველგვარი ბოროტი ძალის გამოვლინებისაგან დასაცავად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ სამი ტიპის ზედაშედან ერთ-ერთი არის საოჯახო. როგორც ჩანს, ქიზიყში საოჯახო ზედაშე და ფუძის ანგელოზი ერთი შინაარსის მატარებელია. ადამიანი ფუძის ანგელოზთან კავშირს ამყარებს ზედაშის საშუალებით. ზედაშეზე აღვლენილი ლოცვა, შეწირული საკლავი და ღვინო ერთგვარი საშუალებაა ადამიანის კავშირისა მიღმურ სამყაროსთან, რომლისგანაც მოელის ბარაქასა და კეთილდღეობას. ფაქტობრივად, ზედაშე ტოპოსია (ადგილია) რიტუალის შესასრულებლად, საკრალური, წმინდა ადგილი, როგორც ქრისტიანულ ტრადიციაში – ტაძარი. როგორც უხილავად მყოფობს ღმერთი ტაძარში, ასევე ზედაშე მთელი თავისი არსით ეკუთვნის ფუძის ანგელოზს, წმინდანსა თუ რომელიმე ღვთაებას. აქ შეიძლება ვივარაუდოთ კავშირი ფუძის ანგელოზსა და ადგილის

დედის კულტთან. მითუმეტეს, მთელი ეთნოლოგიური ჩანაწერები ადასტურებენ ამ ერთიანობას:

ქიზიყელთათვის საკრალურია ის ადგილიც კი, სადაც უწინ ზედაშის ქვევრი ჰქონდათ, ქვევრის დაკარგვის შემთხვევაშიც კი მიდიან და თაყვანს სცემენ ცარიელ ადგილს და შესაწირს კლავენ. 65 წლის ელიკო ქშუტაშვილი ყვება: „ქვევრი იქ აღარ იყო, მაგრამ რადგან არ ვიცოდით, რა იქნა, ჩვენ ისევ მივდიოდით იმ წმინდა ადგილას, სადაც უწინ ბრძანდებოდა ჩვენი ზედაშე და ქათამს ვუკლავდით“. ასეთი მაგალითები მრავლადაა. (*Ibid.* 10)

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ნაყოფიერების ქალღვთაების გამოსახულებანი ნაპოვნია არქეოლოგების მიერ კერაში ან კერასთან, შესაძლებელია დავუშვათ, რომ სახლის (ფუძის) ანგელოზი და ადგილის დედა ერთი და იმავე კულტის ნაირსახეობაა:

აღნიშნულ კონტექსტში გასათვალისწინებელია ქართველი კაცის მიწისადმი დამოკიდებულება (გეორგიანელობა) და მშობლიური ადგილისადმი მიჯაჭულობა. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ზედაშის ფორმა და არსი ქრისტიანობამდელი ქართველური ტომების საერთო კულტურული მონაპოვარია და ქმნის ერთიან მსოფლალქმასა და ერთიან კულტურულ სივრცეს.

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რასაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფაქტი ადასტურებს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული, ათასწლეულებით დათარიღებული მრავალი ექსპონატი.

არქეოლოგებმა თბილისის სამხრეთით, ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე, დანგრეული გორის ნასახლარში ძვ. წ. მე-6 ათასწლეულის ვაზის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით ვაზის კულტურულ სახეობას – *Vitis Vinifera Sativa*-ს მიაკუთვნეს.

კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი კვალი აღმოჩენილია დანგრეული გორის მეზობლად მდებარე ნეოლითური ხანის სხვა ნამოსახლარებშიც (შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, ხრამის დიდი გორა, არუხლოს გორა, ხიზანანთ გორა და სხვა). ვაზის წიპწების გარდა, ნაპოვნია კულტურული ხორბლისა და პარკოსნების ნაშთები, სამეურნეო იარაღები და თიხის ჭურჭელი, რითაც მტკიცდება, რომ ძვ. წ. VI-V ათასწლეულში, ნეოლითის ხანაში, აქ დასახლებული ადამიანი უკვე განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის, მევენახეობასა და მემარცვლეობას ეწეოდა.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული რელიგია შეეცადა ზედაშის წარმართული კულტისთვის ქრისტიანული ღირებულებები და შინაარსი

მიენიჭებიან, მან ერთგვარი სინთეზური სახით მოაღწია დღემდე. მის არსში კარგად ჩანს ქართველი კაცის რელიგიისა და რელიგიურობის ისტორია და ყველა ეპოქის კვალი.

ამგვარად, ვაზის, ღვინისა და ზედაშის კულტის არსებობამ, მიუხედავად ისტორიული ძნელბედობისა და გარშემომყოფი ქვეყნებიდან მომდინარე კულტურული აგრესიისა, ქართულ კულტურას მიანიჭა ინდივიდუალური სახე და ხაზი გაუსვა მის თვითმყოფადობას, რაც აისახა როგორც ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებაში, ისე ქართული ხელოვნების ყველა სფეროში.

ბიბლიოგრაფია:

- აბაკელია, ნინო, *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*, ისტ. მეცნ. დოქტ. ავტორეფერატი, თბილისი, 1997.
- ბარისაშვილი, გიორგი, *ზედაშის კულტურა საქართველოში*, www.marani.ge 2015 (ნახვა 22 დეკემბერი 2017).
- ბიბლია (*ძველი და ახალი აღთქმის წიგნები*), თბილისი, საქართველოს ბიბლიური საზოგადოების გამომცემლობა, 2001.
- თოფურია, ნინო, *ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან*, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1984.
- კაკაშვილი, მანანა, *ზედაშე, როგორც სულიერი კულტურის ფენომენი*, სიღნაღი, თსუ კახეთის ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული, 1995.
- მაკალათია, სერგი, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*, თბილისი, გამომც. საარი, 2006.
- ორბელიანი, სულხან-საბა, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, თბილისი, გამომც. „მერანი“, 1991.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. IV, თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, 1955.
- ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა* (შემდგენელი: ალ. ლლონტი), თბილისი, გამომც. „განათლება“, 1974.
- ყაუხჩიშვილი, სიმონ, *ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლისთვის*, ქუთაისი, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, 1984.
- ჩიტაია, გიორგი, *შრომები*, ტ. 5: *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები*, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 2001.
- ჩიტაია, გიორგი, *შრომები*, ტ. 3: *XX ს-ის ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია*, თბილისი, გამომც. მეცნიერება, 2001.
- ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ, *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*, გამომც. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1961.
- ჯალაბაძე, ნათია, *ქალ-ღვთაებათა ბუნებისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები III*, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1988.